# საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

MOD 4 22 00477891

27.04.2022

ელ-ფოსტა: foi+request-537-319f0100@askgov.ge

ქალბატონო/ბატონო,

თქვენი 2022 წლის 11 აპრილის (რეგისტრაციის №417123; 12.04.2022) განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ყოველწლიურად თავდაცვის სამინისტროსთვის საბიუჯეტო სახსრები განისაზღრება „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით, რომელიც თქვენ მიერ მოთხოვნილი წლების მიხედვით, ხელმისაწვდომია იუსტიციის სამინისტროს სსიპ-საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ-გვერდზე - matsne.gov.ge. ამასთან, თავდაცვის სამინისტროს დამტკიცებული ბიუჯეტი, შესაბამისი კატეგორიების ჩაშლით, ასევე უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების და სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები, კრედიტები) შესახებ ინფორმაცია, წლების მიხედვით, ხელმისაწვდომია თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე არსებულ საჯარო ინფორმაციის პორტალზე - mod.gov.ge/ge/public/page/5.

რაც შეეხება თავდაცვის ძალების შეიარაღების და სამხედრო ტექნიკის შესახებ ინფორმაციას, „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის №507 დადგენილების დანართი №2-ის II თავის თანახმად, აღნიშნული წარმოადგენს თავდაცვის სფეროში საქართველოს სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ინფორმაციას.

პატივისცემით,

ადმინისტრაციის უფროსი
ნათია ჯალიაშვილი

0112 ქ. თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის ქ. 20; ტელ.: (+995 032) 2 543535; ელ-ფოსტა mod@mod.gov.ge